თემა 19

მცენარეები და ყვავილები

Растения и цветы

გაკვეთილის მიზანი:

ასწავლოს ბავშვს მცენარეებისა და ყვავილებთან დაკავშირებული მცნებები, გააცნოს მცენარეების ნაირსახეობები და ტიპები. გააცნოს მცენარეების საბაზისო სასიცოცხლო ციკლი. განავითაროს ბავშვებში მწვანე სამყაროს მიმართ სიყვარული. განუვითაროს ბავშვებს მცენარეების მოვლის საბაზისო უნარები

კონკრეტული ამოცანები:

- განუვითაროს ბავშვებს მცენარეებთან და ყვავილებთან დაკავშირებული ლექსიკა
- დაეხმაროს ბავშვებს მცენარეების როლის შეცნობაში და გარჩევაში
- გააცნოს ბავშვებს მცენარეების სასიცოცხლო ციკლი ჩვევების გაანალიზებაში
- განავითაროს ბავშვებში მცენარეების მოვლის უნარ-ჩვევები

ლექსიკური ამოცანები	გამოყენებული ფრაზები და წინადადებები
მცენარე, ყვავილი, ხე, ბუჩქი, ბალახი, ვარდი, ია, ენძელა, გვირილა, იასამანი, ტიტა, ღიღილო, ყაყაჩო, თაიგული, მუხა, ნაძვი, ხეხილი, ნაყოფი, გირჩი, ბაღი, მარადმწვანე, ფოთლები, წიწვები, ფურცლები, ტოტები, სურნელი, მინდვრის, იზრდება, ხარობს, მორწყვა, წვიმა, თესლი, ღერო, ფესვი	ხე, ბუჩქი, ყვავილი, ბალახი მცენარეებია. ყვავილი ლამაზია ყვავილი ლამაზებია ყვავილი სურნელოვანია. ყვავილების თაიგული ყვავილი ყვავის მინდორში ყვავილი ყვავის ბაღში ყვავილი ყვავის ტყეში. ია ყვავის ტყეში. ენძელა ყვავის ტყეში ვარდი ყვავის ბაღში ტიტა ყვავის ბაღში იასამანი ყვავის ბაღში. ყაყაჩო ყვავის მინდორში ღიღილო ყვავის მინდორში ბალახი ხარობს მინდორში

	ბალახი ხარობს ტყეში ბალახი ხარობს ბაღში ბალახი მწვანეა. მუხა იზრდება ტყეში. მუხა დიდი ხეა მუხის ნაყოფია რკო მუხას აქვს ფოთლები. ნაძვი იზრდება ტყეში. ნაძვს აქვს წიწვები. ნაძვი მარადმწვანეა. ნაძვის ნაყოფია გირჩი ბაღში იზრდება ხეხილი. ბუჩქი დაბალია. მცენარეს სჭირდება მორწყვა წვიმა რწყავს მცენარეებს ტყეში. წვიმა რწყავს მცენარეებს მინდორში მამა რწყავს ხეხილს ბაღში დედა რწყავს ყვავილებს ბაღში

აქტივობა - რა არის?

დაურიგეთ ბავშვებს სხვადასხვა მცენარეების და ყვავილების სურათები, ასევე დაურიგეთ სურათები, სადაც მცენარეები ერთადაა გამოსახული. სთხოვეთ ბავშვებს ერთად შეკრიბონ ყვავილების სურათები ყვავილის თაიგულის გარშემო. ასაუბრეთ ყვავილების შესახებ ჟესტიკულაციის გამოყენებით.

- ეს რა ყვავილია?
- რა ფერია ყვავილი?
- როგორია ყვავილი? (ლამაზი, პატარა, დიდი, ბევრი)
- რა აქვს ყვავილს? ფოთლები, ფურცლები, სურნელი (ჟესტიკულაციით აჩვენეთ, როგორი კარგი სურნელი აქვს ყვავილს)

იგივე გაიმეორეთ ხეებთან მიმართებით.

აქტივობა - მოვუაროთ მცენარეებს

სეირნობის დროს სთხოვეთ ბავშვებს, რომ მოაგროვონ ფოთლები და ყვავილები

თუ ბაღში გაქვთ ოთახის მცენარეები, აუხსენით ბავშვებს, რომ მცენარეებს აქვთ ყვავილები და ნაყოფი. ცოცხალი მცენარეების მაგალითზე აუხსენით, რა ნაყოფი აქვს თითოეულ მცენარეს. გააკეთეთ ლოგიკური რუქები სურათებისა და ფოტოების გამოყენებით სადაც აჩვენებთ, რომ ხეები - იზრდებიან ტყეში და ბაღში. ხეებს აქვთ

ფოთლები და წიწვები. ფოთლები აქვთ ხეებსაც და ყვავილებსაც. ყვავილები ასევე იზრდებიან ტყეში, მინდორში და ბაღში დაკვირვების საფუძველზე ამუშავეთ ბავშვები მცენარეების და ყვავილების ერთმანეთთან დაკავშირებასა და დაპირისპირებაზე.

მაგ: ყვავილები - ია და ენძელა - ტყეში

იასამანი, ვარდი და ტიტა - ბაღში

ყაყაჩო, გვირილა - მინდორში

ახლა იგივე ხეებთან მიმართებით

და ბოლოს - გაერთიანებული





აჩვენეთ ბავშვებს ხეებისა და მათი ნაყოფის ფოტოები და სთხოვეთ, რომ ნაყოფი ხესთან დააკავშირონ. მაგ. ვაშლის ხე - ნაყოფი ვაშლი. მუხა - ნაყოფი რკო. ნაძვი - ნაყოფი გირჩი.

აქტივობა - გავაკეთოთ ყვავილები და ხეები

ბავშვებს გამოუჭერით სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურები და შეაქმნევინეთ ყვავილების და ხეების აპლიკაციები. ავარჯიშეთ გეომეტრიულ ფიგურებზე, ფერებზე და რიცხვებზე.

მაგ. ნაძვის ხის შემთხვევაში? ეს რა ფიგურაა? სამკუთხედი

რა ფერია ნაძვის წიწვები? - მწვანე

რამდენი სამკუთხედია მარეკის ნაძვში? - სამი სამკუთხედი

რა ფერია ნაძვის ღერო - ღერო? ყავისფერი

რამდენი ფურცელი აქვს მარიანას გვირილას?

რამდენი წრეა სერგის ყვავილში?

რა ფერია სერგის ყვავილი?

რამდენი თეთრი წრეა და რამდენი ყვითელი?
ახლა სთხოვეთ ბავშვებს დახატონ ყვავილების და ხეხილის ბაღი
ტყე ნაძვებით და ხეებით.
მინდორი - ყაყაჩოებით და გვირილებით.
ბაღი - ვაშლის ხით, ვარდებით და ტიტებით.

აქტივობა - გავახაროთ/გავზარდოთ მცენარე

ბავშვებთან ერთად გააღვივეთ ჯეჯილი ბამბაზე. დარგეთ ქოთნის ყვავილი, და ჩაფალით თესლი. ყოველდღე სთხოვეთ ბავშვებს დააკვირდნენ მცენარეებს. მცენარეების მორწყვის მომენტის საგანგებოდ აღნიშნეთ ოთახში და აქციეთ რიტუალად.
ალტერნატიულად - მშობლებთან თანამშრომლობით, თითოეულ ბავშვს მცირე პლასტმასის ქოთანში გაახარებინეთ მცენარე, ყვავილი. ქოთნებს მიამაგრეთ ბავშვების სახელები ქართულად.
ალტერნატიულად, გააღვივეთ წყლიან ქილაში ლობიოს მარცვალი. ისაუბრეთ ბავშვებთან ერთად ყოველდღიურ ცვლილებებზე.
ალტერნატიულად, ააყვავილეთ კარტოფილი და აჩვენეთ ბავშვებს, როგორ ეზრდება მას მწვანე ფოთლები. ცვლილებებთან ერთად, ისაუბრეთ ბავშვებთან გახარების ეტაპებზე.

აქტივობა - ვისწავლოთ მცენარის აგებულება

ერთად მოაგროვეთ თითოეული ბავშვისათვის მინდვრის ყვავილის ღერო, 2 ფოთოლი, მცირე ფესვი და ყვავილის გვირგვინი.
ცარიელ ფურცელზე „ააწყობინეთ ყვავილი“. მათთან ერთად თქვენც ააწყვეთ და იგივე დაფაზე დახატეთ. დააწერეთ ყვავილის თითოეულ ნაწილს თავისი სახელი ან დაურიგეთ სამუშაო ფურცლები, გააფერადებინეთ ყვავილი და სთხოვეთ თქვენთან ერთად დაასახელონ და მიაკრან ყვავილის თითოეულ ნაწილს თავისი სახელწოდება.